კლდე

№ 11

10 მარტი 1913 წ.

ვისაც 1913 წლ. არ გამოუწერია ჟურნალი „კ ლ დ ე“, იანვრიდან აღარ ეგზავნება.

ყოველ კვირეული საზოგადო ეკონო-მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10 –3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ჟურ. კლდის კანტორისაგან

რედაქციაში იყიდება ჟურნალ კლდის და-კაზმული კომპლექტები 1912 წლისა. ფასი ქა-ლაქში.—1 მან. ქალაქ გარედ—1 მან. და 25 კ.

ყველა ხელის მომწერთ ვთხოვთ დროით შეგვატყობინონ ხოლმე, თუ რიგზედ არ მის-დით ჟურნალი, რომ თავდარიგი დავიჭიროთ.

ს ა რ ჩ ე ვ ი: ლადოს.—ლექსი **ი. გრიშავილისა.** შინა მრეწვ. აგონია ჩვენში.—**თევდ. ლლონტი-სა.** მეცნიერული სიბეცე თუ შარლატნობა.—**ქარ-თლელისა.** უკანასკნელი ამბები. მიმქრალი სუ-ლის აღსარება.—**დ. კასრაძისა.** ბალკანეთის ომი და საერთაშორისო განწყობილება. —**მეომარისა.** მანგლისის წვრ. კრ.— **სემიტისა.** ბიბლიოგრაფია. ჩვენი ფოსტა.

ლადოს*)

ხან მეფე ხარ სვე-მღვიძარე, ქედს გიხრიან ქვეყნის მპყრობელს,
ხან ვით ნაძვი ტბის ნაპირას ღვრი ცრემლებსა შეუშრობელს.

ხან მკვეთრ ისრით დაკოდილი, სულ არა გრძნობ წყლულთა ტკენას,
სულის სწრაფვას ჰანგათ აკმევ, იორკეცებ აღმაფრენას.

ხან ოცნებით ცის სივრცეში ნიავ-ტალღად დასრიალობ,
ღრმა კაეშნით მოხიბლული სამსხვერპლოზე კვნესით ჰგალობ.

შენ ჩანგი ხარ... და ეგ თმები, ეგ ჭაღარა თვითეული—
ხალხის გულის სიმებია, ხალხის სუნთქვით დარხეული...

და მეც ხალხის აღმაფრენამ შენთან მგოსნად ამომტყორცნა
მსურს მოგიძღვნა, როგორც მამას, მხოლოდ კოცნა, წრფელი კოცნა,

ქ. თბილისი 10 თებერვალი 1913 წ.

ი. გრიშაშვილი.

*) ლ. მესხიშვილის იუბილეზე წაკითხული ლექსი

შინა მრეწველობის აგონია ჩვენში*)

IV.

მიზეზი მრეწველობის განადგურებისა.

ევროპიულ ყოველ სხვილ სახელმწიფოში მრეწველობა მეტის მეტად განვითარებულია. კაპიტალისტური წეს-წყობილება იმ საძირკველად გადაქცეულა, რომელზედაც სახელმწიფო მთელ თავის სამომავლო საქმეს აგვირგვინებს. რამდენადაც ამ მხრივ განვითარებულია სახელმწიფო, იმდენადაც ის ძლიერია სოციალ-პოლიტიკურად, ფინანსიურად და ყოველის მხრივ. ასე რომ კაპიტალიზმი ჩამორჩენილ ქვეყნების ერთნაირი მხსნელი მანანაა, ის აუცილებელი საფეხურია უმაღლეს ეკონომიურ ფორმაციის შესაქმნელად. დღევანდელ პირობებში კაპიტალიზმის განუვითარებლობა მთელ ეროვნულ ცხოვრების ჩამორჩენაა და ამიტომ ამ ჩამორჩენის მოსპობა აუცილებელი საქმეა.

არ იფიქროთ, რომ ეს კაპიტალიზმი რაღაც ჯადოქარი ან ზეციდან ჩამოვარდნილი რამე მძლეთა-მძლეობა იყოს. არა, კაპიტალიზმი მწარმოებელ ძალთა და საწარმოო საშუალებათა განვითარების ერთნაირი გამოხატულებაა, გამოხატულება, რომელიც ტეხნიკისა და ხელოვნების გაბატონებას მოასწავებს მუშის ბუნებრივ ჯაპან-წყვეტაზე.

ხალხი სიმდიდრეს ნატურალურ მეურნეობითაც ქმნიდა; მაგრამ საწარმოო საშუალებანი მაშინ ყოვლად უსუსური იყო, შემდეგ მწარმოებელი ძალა თან და თან განვითარდა, საწარმოო პირობები გაუმჯობესდა, შეიცვალა და ადამიანის პირადობასაც ნაკლები ფასი და მნიშვნელობა მიეცა. ტეხნიკის საშუალებით ათასჯერ მეტი ქონების შეძენა იქმნა შესაძლებელი, ვიდრე წინად შეიძლებოდა, ე. ი. მწარმოებელი ძალა წინ წავიდა...

ასეთი განვითარება მწარმოებელ ძალისა ყოველ საზოგადოებაში სწარმოებს, თუ ცხოვრებას არა-ჩვეულებრივი გარეშე პირობები არ აფერხებს. ყველაზე მეტად ამ მხრივ ევროპაში განვითარდა ინგლისი თავისი შოტლანდია-ულსით. იქ კაპიტალიზმი წარმოუდგენელ სისწრაფით გაეშურა ახალ პირობებისაკენ და ადამ სმიტის დროს, მე XVIII-საუკუნის მიწურულში, უკვე შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენდა მთელს მსოფლიოში.

ინგლისის შემდეგ, კაპიტალიზმი დიდათ წავიდა წინ საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, და უნგრეთში, ამერიკაში და რუსეთშიაც დიდი ნაბიჯი გადადგა ამ მხრივ ბოლო ხანებში ავსტრალია, აფრიკა და აზიის ყველა დესპოტიური სახელმწიფონიც მოდიან მოძრაობაში.

ჩვენ უკვე ვადიარეთ, რომ კაპიტალიზმს ანვითარებს მწარმოებელთა შრომის გაძლიერება, საწარმოო პირობების თანდათანი გაუმჯობესება. ისტორიიდან და თვით სინამდვილის აღწერიდან ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში მრეწველობის ნატურალურ ხანაში ქართველ ხალხშიაც მოქმედებდნენ ეს მწარმოებელნი, ჩვენ ხალხსაც ჰქონდა საწარმოო საშუალებანი. ასე რომ წარსულში ჩვენ ყოველი ის ნიადაგი და პირობები გვქონდა, რომლის წიაღიდან, ან უკეთ, რომელთა განვითარებასაც შემდეგში უნდა შეექმნა ევროპის ყოველ სახელმწიფოში განვითარებული კაპიტალისტურ-ხელოვნური მრეწველობა-ადებ-მიცემობა.

მაგრამ სინამდვილე?

შინა მრეწველობა (რომელიც პირველი საფეხურია) რაიც მწარმოებელთა ძალების განვითარებით უნდა იქმნას დანგრეული, უკანასკნელ სულს დაფავს, ქრება და იღუპება, მისი შერჩენა არც საჭიროა და არც სასარგებლო. მაგრამ შინა-მრეწველობის დანგრევა მაინცა და მაინც არ უნდა იყვეს მიზნად დასახული, რადგან მისი მოადგილე კაპიტალიზმი გამვითარებული არ არის ჩვენში.

შინა მრეწველობის ყოველ ატრიბუტის დანგრევა იმ შემთხვევაშია ფრიად სიმპტომატიური და მაჩვენებელი მხარეში, როგორც მწარმოებელ ძალთა განვითარების, ისე საწარმოო პირობათა გაუმჯობესებისა, როცა წარმოების ელემენტალური, უბრალო ფორმა უმაღლეს, უმჯობეს ფორმაში გადადის, როდესაც ძალა იარაღდება არა მარტო უბრალო გამოცდილებით, არამედ ტეხნიკურ საშუალებებითაც: ორთქლით, ელექტრონით, გაზით და სხვა და სხვა სამღროვო ძალებით; როცა შრომის განაწილება უმწვერვალესად ვითარდება და აქედან შენდებიან საგანგებო ქარხნები, ფაბრიკები...

საქართველოს ცხოვრებაში კი შინა-მრეწველობის და განუვითარებელ მწარმოებელ ძალთა დაუძლურება ასეთ უმჯობეს-უახლეს ეკონომიურ ცხოვრების ფორმას

*) იხ. „კლდე" № 8, 9 და 10.

როდი წარმოგვიდგენს; ჩვენში — მთელ საქართველოში — ვერ დაასახელებთ ერთ ფაბრიკას, სადაც ტილოს ან ჩითს ჰქსოვდნენ — ამზადებდნენ, ვერ დაასახელებთ სამრეწველო დაწესებულებას, სადაც შალს, მაუდს და სხვა მრავალ სახმარებელ ნივთს კაპიტალისტურ წესებით ჰქმნიდეს, რომ ჩვენი ხალხი ძველ საწარმოვო ასპარეზს გამოსთხოვებოდეს და ახალ უმჯობეს პირობებში სწვრთნიდეს თავის ენერგიასა. ასე რომ ჩვენ იძულებულნი ვართ ვაღიაროთ: საქართველოს ნამდვილ ცხოვრებაში კაპიტალისტური წარმოება, კაპიტალისტური მრეწველობა სრულებით განუვითარებელია და თუ ჩვენი ხალხი იმოსება კაპიტალისტურ მრეწველობის ნაყოფით, სულ ახალნაირ საქონელით, ეს საქონელი უცხოეთის ძალას ეკუთვნის — რუსეთს, ევროპას და ამერიკასაც კი.

საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი აზრი უფრო დავალაგოთ, უფრო დაწვრილებით შევეხოთ ჩვენს ცხოვრებას.

მეოთხმოცდაათე წლებში ჩვენში, უმთავრესად „კვალი“-ს პუბლიცისტები, როგორც მაგ. ნ. ჟორდანია, ჯიბლაძე, მახარაძე და სხვები აღიარებდნენ, რომ საქართველოში კაპიტალისტური წეს-წყობილება ვითარდება, ჩვენი ცხოვრება ევროპიულ ცხოვრების სახეს იღებს, საზოგადოება აქაც ისე დას-დასობით (კლასებად) იწყობა, როგორც ევროპაში, აქაც ვითარდება კულტურა და სხ. „კვალისტები“-ს ეს დებულება მაშინ ბევრმა არ გაინაწილა. „იმედი“-ს „ტეტიათა“ მოტრფიალენი, „მოამბე“-ს ზოგიერთი თანამშრომელნი და „ივერიელები“ არ ეთანხმებოდნენ დასელ-კვალისტთა კონცეპციას. მაგრამ მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ გამოირკვა, გაშუქდა და ამ ერთნაირ განვითარების შედეგად ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ რამდენადმე სცდებოდნენ კაპიტალიზმის უარისმყოფელნი და აჭარბებდნენ აგრეთვე მარქსისტებიც. უკანასკნელნი, აღზრდილნი „კაპიტალი“-ს მოძღვრებაზე და ეკონომიურ ცხოვრების განვითარების ფორმათა ერთნაირობის შემეცნებაზე *) — უფრო აბსტრაქტულად მსჯელობდნენ, რადგან ცხოვრება, არ იყო სათანადოთ ემპირიულად შესწავლილი, ხოლო ჩვენი ნამდვილი ცხოვრების სახე და მისი მსვლელობა მათ გონებიდან, თეორიიდან გამოჰყავდათ. ჩვენ ძლიერ კარგად გვახსოვს მაგ. იმ დროის მახარაძის ფაქტიურ მასალებით შემუშავებული მსოფლშეხედულობანი ქალაქების ზრდაზე, მცხოვრებთა მოძრაობა-კონცენტრაციაზე და სხ. მაგრამ ეს კიდევ ვერაფერს ამტკიცებს. საქმე იმაში არის, რომ საქართველოს ცხოვრებას მესამოცე წლებიდან განსაკუთრებით დიდი წინ მსვლელობა დაეტყო როგორც საზოგადო კულტურის, ისე ეკონომიის დარგში, ქალაქების ზრდა-განვითარებაში. მაგრამ ვნახოთ სინამდვილე უფრო დაახლოვებით.

რუსეთის შემოსვლა და გაბატონება ჩვენში მოასწავებდა რუსეთის კაპიტალისათვის ახალ ასპარეზის გახსნას, ბაზრის გაფართოვებას, საქონლის გასაღების ახალ საშუალებას. და დღესაც ხომ რუსეთის საქონელი განსაკუთრებითაა გაბატონებული ჩვენში. მაგრამ ამავე დროს ჩვენში მარტო საქონლის სახით კი არა, ნაღდ ფულითაც დიდ ძალი ფული შემოვიდა მრეწველობის გასაჩენად და ახალ ზედ მეტ სიმდიდრის შესაქმნელად. მთელი კავკასია და განსაკუთრებით საქართველო რუსობისათვის ამ მხრივ ფრიად საინტერესო იყო, რადგანაც ჩვენში შესაძლებელი იყო ისეთ სამრეწველო დარგების შექმნა, რომელიც უცხოელებს განსაკუთრებით მეტ სიმდიდრეს მისცემდა და რის საშუალებას თვით რუსეთში თითქმის არ ჰქონდათ. ჩვენ ვგულისხმობთ ჩვენი მთა-ადგილების მინერალურ სიმდიდრეს. სპილენძი, ქვანახშირი, ფისი, ნავთი და სხ. ასეთები ხომ უტყუარი წყაროები იყო. და აი სწორედ ამ სამთა-მადნო საქმეს, რომელიც, კიდევ ვიმეორებთ, რუსეთში არ იყო, ერთიანად დაეწაფნენ რუსეთისა და საზღვარ-გარეთელი კაპიტალისტები.

უეჭველია, რომ ამ დარგშიაც საქმის გაჩარხვა დიდად მნიშვნელოვანი და სახეირო იყო ხალხისათვის. ეს გარემოება აცხოველებდა სოფელს, ანვითარებდა მწარმოებელ ძალებს, ზრდიდა ქალაქებს, თავს უყრიდა ხალხს, ჰქმნიდა სამრეწველო ცენტრებს თავის ტენდენციებით... და აი ცხოვრების ჟივილ-ხივილმა, რასაც მოჰყვა რკინის გზის გაცხოველება, ფოსტა-ტელეგრაფების გაშენება და სხ. პირდაპირ დააბრმავეს, უკეთ გაიტაცეს ისინი, რომელნიც მრეწველობის განვითარებას ნუსხავდნენ. მაგრამ ნამდვილად განა ეს ნიშნავდა **ჩვენი** ქვეყნის სამრეწველოს განვითარებას, ფაბრიკა-ქარხნების გახსნას, საწარმოვო პირობების გაშლას, გაფართოვებას? სრულიადაც არა, რადგანაც შინა-მრეწველობის მრავალი დარგი, რომლითაც ცხოვრობდა ჩვენი ხალხი, რასაც ანვითარებდა ჩვენი ერი, ისე განადგურდა, რომ თავის არსებობიდან და განვითარებიდან ერთი რაიმე საფაბრიკო დაწესებულებაც ვერ შექმნა, ჩვენი მრეწველობიდან, ერთი დარგიც ვერ განახლდა, ვერ აღორძინდა, ვეღარ შეიარაღდა ახალ ცხოვრების ძალებით.

ცხოვრების განუვითარებლობის ეს მხარე კი ჩვენს მკვლევართ ალდო აურთმეველი დარჩათ, ის, რაც დავინახეთ სამთო მრეწველობის დარგში, თავზე მოახვიეს

*) დეტერმინისტური, დიალექტიურ-მატერიალისტური შეხედულება ცხოვრებაზე — რაიცა ჩვენი მარქსისტების მრწამსს შეადგენდა, — ასეთ შეხედულებაში გადამჭრელ ძალად ხდებოდა. — **ავტ.**

მთელ ცხოვრებას და ამ რიგად გაზვიადეს გადამეტებითი იმედიანი (ულტრა-ოპტიმისტური) შეხედულობანი ჩვენი ცხოვრების აწმყოსა და მომავალზე.

შემდეგში შეუძლებელი იყო მთელი ცხოვრების ნამდვილი სახე უფრო მარტივად არ წარსდგომოდა ხალხს. მეთვალყურენი იძულებულნი გახდებოდნენ თავიანთ ოპტიმიზმისათვის რამდენადმე ფრთები შეეკვრათ და მართლაც, შემდეგს ჩვენ მწერლობაში— განსაკუთრებით არჩილ ჯორჯაძესა და ნოე ჟორდანიას შორის, საინტერესო აზრთა დაპირისპირება მოხდა, რაიცა ჩვენი საკითხის გასარკვევად საინტერესო მასალად გამოგვადგება.

თევდ. ღლონტი.

მეცნიერული სიბეცე თუ შარლატანობა?

(ნ. სპილიოტის წერილის გამო)

მართლაც, ცხონებულ ილიას სიტყვისა არ იყოს, ჩვენისთანა „ბედნიერი ერი“ მთელს დედამიწის ზურგზე ერთიც არ უნდა მოიპოვებოდეს. ვინ გნებავთ, ბ—ნო ჩემო, რომ ჩვენს აბუჩად აგდებას და ეროვნულ თავმოყვარეობის შელახვას არა სცდილობდეს! აქ დოღი არის გამართული: ფეხიანი თუ უფეხო, მტერი თუ მოყვარე ყიზილბაშურად გადმომდგარან და წინასწარ განზრახვით შედგენილ რუქითა თუ კომპასის ისრით ჩვენს გარშემო გააქვთ გაგნაში და ჩხავილი. ოღონდ ისე კი, რომ თვითეულმა გაჯირითების დროს ჩვენ თავში ჩაგვკრან, გაგვსრისონ, იცინონ ჩვენს უკულმართ ბედის ტრიალზე. ჩვენ კი, ჩვენ, ეს პატივაყრილი ქართველობა, იმავე ილიას თქმისა არ იყოს, „თითქოს მართლა ვისთანმე პირშავნი ვყოფილიყავით“, ხმის ამოღებას ვერა ვბედავთ, ერთ-ურთს ვაჩუმებთ: სსუო! არავინ გაგვიგონოს,თორემ იფიქრებენ, რომ შენ ქართველობაზე სდებ თავსა, ქართველობა ხომ „ზოოლოგიური პატრიოტობაა“, ჩამორჩენილ ადამიანად ჩაგვთვლიან, „ზუბრებად“, რომელთაც საერთაშორისო სოლიდარობის დროშასთან არავითარი კავშირი არა აქვთ, და სხვა და სხვა.

თუ ეს ასე არ არის, მაშ რითი უნდა აიხსნას, რომ ასე ადვილად ვიტანთ ყოველისფერს: მამული მიდის ხელიდან, ენა არა თუ სასწავლებლებიდან და დაწესებულებათაგან, არამედ ოჯახებიდან იდევნება, წარსული არ არსებობს: სამარცხვინოა მისი გახსენება, ან და რა დროს ,,ქვათა ღაღადის'' შესმენაა, როდესაც მთელი ჩვენი ისტორია ზღაპარია, მითია, დოკუმენტები ვიღაც უსაქმო ჭორიკანა ბერ-ხუცესობის შედგენილია, მითია წმ. ნინო, მითია თამარი... ქართველი მხოლოდ მაშინ არის მეცნიერი, თუ რომ ის კათედრიდან გადმოდგება და მთელს ჩვენს წარსულს მთლად უარჰყოფს. სომხიფილობა, აი რა! ან არა და რაც გინდა დაარქვი შენს თავს, იყავ ბუშმენი, ყირღიზი, ოღონდ ქართველი კი ნუ! მაგრამ რომელი ერთი ჩამოვთვალო? ჰეშმარიტად, რომ მხოლოდ ანომალიით შეიძლება ამ გვარი მოვლენის ახსნა, თორემ სხვაფრივ ყოვლად შეუძლებელია, შეუძლებელია თუნდა იმიტომ, რომ ილიას დიდებულ დაკრძალვის შემდგომ, ერი, რომელმაც მეფური დღესასწაული გადაუხადა აკაკის, მეორე დღესვე ხაჩატურიანცთა და მის დამქაშთა დასაცინი საგანი ხდება! ჩვენ ვიყავით ამისი ისტორიული მოწმენი და დარბაისლურადა ვსდუმდით, რა თქმა უნდა, ,,ზოოლოგიური პატრიოტობის'' შიშით. ასეთივე ისტორიული მოწმენი ვიყავით ყოვლად გათახსირებულ ვიღაც შარლატან ლექტორ გრინის ლექციებისა, რომელსაც ნაციონალურ მოძრაობის მაგიერ, რომ თავხელი ,,პროფესორი'' საბრალმდებლო სკამზე დაგვესვა, სერიოზული სახე მივეცით მის ლექციებს და პატივცემულ ისტორიკოს მ. ჯანაშვილს მივანდეთ პასუხის მიცემა ,,ნოვოე ობოზრენიეს'' ფურცლებზე *).

მაგრამ შორს ნუ მივდივართ. გრინის კომპასს მთელს ლეგიონთა ხელში ნახავთ, თუნდა აგერ გუშინაც დავინახეთ ვიღაც სპილიოტის ხელში, რომელიც ჟურნალ ,,Кавказская Школа''-ს ფურცლებზე გადმომდგარა. ნახეთ, ბ—ნებო, წაიკითხეთ. შეუძლებელია, აქ არ დაინახოთ ახალი

*) 1894 წ. გრინმა თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში წაიკითხა ლექცია „Эпоха Царицы Тамары“ რომელიც დაიბეჭდა იმავე წლის „Кавказъ“-ის 191 და 192 ნომრებში. ეს, „ლექციები“ იმით იყო „საყურადღებო“, რომ ისტორიული მიმოხილვა შეხერაზადისა და ათას-ერთი ღამის სცენებით მოჰხაზა, ტალახში ამოსვარა თამარ დედოფლის პიროვნება და ჩვენ კი მას ნება მივეცით, რომ დაუსჯელად წაბძანებულიყო. ზემოდ ხსენებულ ისტორიკოს ჯანაშვილმა თავის პოლემიკით მას შეაძლებინა თავი გამოედო, რომ თვისი მისსია ასე ჩინებულად შეასრულა.

შარლატნობა, ახალი არამზადობა ან არა და მეცნიერული სიბეცე. ადამიანი, რომელმაც ჩვენი წარსულისა არა იცის რა, ჩვენს ისტორიას, უკედ ჩვენს status praisens-ს ეხება და ამერიკას ამერიკაზე აღმოაჩენს! საოცარია, ყოველი მოხელე რომ აქ ,,გაისტორიკოსდება'' ხოლმე, მაგრამ არა ნაკლებ საოცარია, რომ თვითეულ ასეთ „ისტორიკოსის" პირველი სიტყვა ჩვენის შეურაცხყოფით იწყება! მაგრამ შევეხოთ გაკვრით მის დებულებათ, ვინაიდან სერიოზული კამათი მასთან მხოლოდ საბრალმდებელო სკამზე უნდა მოხდეს, თუ რომ მართლა ქართველები ვართ. დავყვეთ თავიდან:

ბ—ნმა სპილიოტიმ ჩვენი status praisens-ი დაახასიათა როგორც ,,პირვანდელ წყდიადის შემეცნება". უნდა შევნიშნოთ, რომ დღევანდელ სკოლების უქონლობა „ამ პირვანდელ წყდიადის" მიზეზითაა გამოწვეული: თუ რომ ფიზიკური სინათლე საოცარის სისწრაფით ედება მთელს ქვეყნიერებას,სამაგიეროდ გონებრივ მოძრაობის ნათელი მეტისმეტად მძიმედ მიდისო'',—ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს ჩვენი სამშობლო. მართალია, მან უწყის, რომ „ასის წლის წინად, ესე-იგი, შეერთებამდე, ქართველებს „ჰქონდათ დაბალი და საშუალო სასწავლებლები, თვით უნივერსიტეტებიც კი"—მარტო ეს ფაქტიც პირუთვნელ ისტორიკოსისთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო რომ „პირვანდელ წყდიადის'' მეუფება შეუძლებელი იქნებოდა,—მაგრამ სპილიოტის ქამანდური რეპლიკებიც სწორედ იმიტომ არის ჩართული, რომ ამ სასწავლებელთა მნიშვნელობა დაამციროს და მკითხველთა შორის თავის დებულებას ბაზარი მოუპოვოს: ჰო, იყო სასწავლებლები თუმცა ,,немногочисленныя'', ჰქონდათ უნივერსიტეტები, თუმცა ,,неважные''. თავის ქება არაფრად ჭღირსო, ამბობენ, მაგრამ როდესაც გაიძულებენ ისევ ,,თქმა სჯობს არა თქმასა''. იმ ხანაში, რომელსაც ბ—ნი სპილიოტი იღებს, ვგონებ, რუსეთის სასწავლებლები ვერ გაუსწრობდნენ ჩვენსას. უმნიშვნელო იყო თუ არა, ჩვენმა სასწავლებლებმა შეინახეს და გადმოგვცეს სამშობლო ენა, ტრადიციები! ,,პირვანდელ წყდიადის მეუფება'' შეუძლებელი იყო იმ ქვეყანაში, რომლის სკოლები იძლეოდნენ დავით გურამიშვილებს, ბესიკებს, ალექსანდრე ჭავჭავაძეებს, გრიგოლ ორბელიანებს და სხვათა; პირვანდელ წყდიადის მეუფება შეუძლებელი იყო იმ ქვეყანაში, რომლის სკოლები ზრდიდნენ საუკეთესო მეტყველთ, მქადაგებელთ, ვინც მოგვცა ანტონ კათოლიკოზი, დიდებული მეცნიერ-გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი, რომელმაც თვით რუსთა-მეცნიერების წინსვლას არა ნაკლებ შეუწყო ხელი, ვიდრე თვით რუსებმა; ,,პირვანდელ წყდიადის მეუფება'' შეუძლებელი იყო იმ ქვეყანაში ვინც შესძლო სულმნათ გაბრიელ ეპისკოპოზის წარმოშობა, რომლის ქადაგებანი ეხლაც ანცვიფრებენ ადამიანს თავიანთ უძირო ზღვა ფილოსოფიური მსოფლ-მხედველობით და რომლის შედგენილი ლოღიკა, თუ არა ვცდები, პირველი სახელმძღვანელო იყო მთელს რუსეთის იმპერიაში! დასასრულს ,,პირვანდელი წყდიადის მეუფება'' შეუძლებელი იყო იმ ქვეყანაში, სადაც გატაცებით სწავლობდნენ რიტორიკოს, ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას, გრამატიკას, გეოგრაფიას და სხვას, რომლის ზედგავლენის ნაშთებს ეხლაც კი ნახავთ. არა გჯერათ? გაისაჯეთ, ბატონებო, ერთხელ ჩამოიარეთ ძველი ოჯახები. თქვენ ნახავთ ისევ ძველ ხელ-ნაწერ კარაბადინებს, რომელნიც დიპლომიან ექიმებზე მეტს სამსახურს უწევენ მათ; გაისაჯეთ და შეიხედეთ თუნდა თბილისის პატარა დუქან-მაღაზიებში, თქვენ ნახავთ დავთრებს (თვით სომეხ ვაჭართა ხელშიაც კი) ისევ ქართულად ნაწერს; გაისაჯეთ და ნახეთ სოფლებში, მოსაზღვრე მეზობელი ერებიც კი (როგორც მაგ. ოსები) ისევ ჩვენს წონას ხმარობენ (ლიტრა, კოდი, ადლი და სხვა), ჩვენი თვლა... მაგრამ რა საჭიროა ჩამოთვალა? ეს ისევ ძველი „პირვანდელ წყდიადიდან' მოცულ სამეუფეოს ნაშთები გახლავთ და არა „ახალი სიტყვა" ახლად შემოტანილი სინათლისა, რომელიც რუსულ ფარაჯის მთრეველა გლეხ-კაცობისაგან უნდა მოითხოვოთ, რომელთაც აღარც რუსული იციან, არც ქართული „შენში ან სოვისტი არ არის ან სვინდისიო", გეუბნებიან! მაშ სად არის ისტორიული სინამდვილის მარცვალი, რომელზედაც ბ—ნი სპილიოტი ემყარება?

ერთად ერთი დიდი არგუმენტი, რომლითაც ხელმძღვანელობს ბ—ნი სპილიოტი, გახლავთ პაველ დიმიტრიჩ ციციანოვის (და არა პავლე დიმიტრის ძე ციციშვილის) ავტორიტეტობა, რომელიც ერთი „საუკეთესო შვილი იყო საქართველოსი-"ო (ნეტავი რა მხრით?). რომ უფრო ჰიპულიარული ჰყოს პაველ დიმიტრიჩის სახელი, სპილიოტი თამამად ადასტურებს, რომ თვითონ ციციანოვი „ქართველთა სისხლის ნათესაობას უარს არ ჰყოფდა, თუმცა ამტკიცებდა, რომ სული რუსული მიდგიაო", მართლაც ეს უკანასკნელი ფრაზა პაველ დიმიტრიჩის ყოველ-დღიური და საყვარელი ფრაზა

იყო, რომლითაც ამ რიგად მოსწონდა თავი. ცხადია, რომ ასეთს ადამიანის ავტორიტეტობა ან მეცნიერული სიბეცე უნდა იყოს, ან და შარლატნობა, სხვაფრივ შეუძლებელია! ადამიანი, რომელიც თვის თავს შეურაცხყოფილად სთვლიდა, რომ ის ქართველად დაბადებულა, ადამიანი, რომელსაც ქართულად დალაპარაკება ეჯავრებოდა და დღესაც ისტორიულ გამოცანას შეადგენს, იცოდა მან ქართული ენა თუ არა? *) აი ეს ადამიანი მის თვალში ავტორიტეტია! არა, ბ ნმა სპილიოტიმაც კარგად იცის, რომ მეცნიერება მზგავსს ავტორიტეტებს არა თუ სკეპტიკურად უყურებს, სავსებითაც უარჰყოფს. ეს იცის ბ—ნმა სპილიოტიმ, იცის, მაგრამ რატომღაც მისი ავტორიტეტობა დასჭირდა, მას უფრო უჯერებს, ვიდრე ანტონ კათოლიკოზს, რომლის გაძევებას საქართველოს საზღვრებიდან არა ნაკლები ნიადაგი მოუმზადა თვით ჩვენმა „თავგანწირულმა მაშლიშვილმა", ხსენებულმა პაველ დიმიტრიჩმა. მაგრამ აი სპილიოტის ერუდიცია ფაქტების ანალიზის დროს:

„ჯერ კიდევ კნორრინგი, რომელიც თავ. ციციანოვამდე კავკასიის მთავარ მართებლად იყო დანიშნული (1801 წ.) კათოლიკოზ ანტონს შეეკითხა: სასულიერო წოდებისთვის გაქვთ თუ არა ეპარქიებში სასწავლებლები, და თუ გაქვთ, სადა, რას ასწავლიან, ანუ ვისი ხარჯით". კათოლიკოზმა ამაზედ უპასუხა: „ქართლისა და კახეთის ყოველ ეპარქიაში ბავშვებს ასწავლიან წერა-კითხვასა და გალობას; მოწაფეებს მშობლები ინახავენ. ნეტარ ხსენებულ ირაკლი II ის დროს კი თბილისში და თელავში გვქონდა სემინარიები, სადაც ასწავლიდნენ გრამატიკას, რეტორიკას, ფილოსოფიას და ღვთისმეტყველებას, ხარჯს სულ თვითონ მეფე იღებდა" (აქ. 1, 531). პასუხი მეტად სამწუხაროა, — განაგრძობს ბ-ნი სპილიოტი, — რომელიც უფრო სამწუხაროდ გვეჩვენება, თუ რომ ინალიზს მოვახდენთ და დავხედავთ, თუ რა იმალება ბანზე აგდებულ სიტყვების იქით", შემდეგ ამაყად ამბობს: „რა თქმა უნდა, სემინარია ჰქონდათ, როდესღაც... Fuit quondam Troja!.. და სხვა.

რომ მართლა, „სამწუხარო პასუხი" გასცა კათოლიკოზმა, აქ მართალია ბ-ნი სპილიოტი: სამწუხაროა ჩვენთვის, რომ აყვავებული სასწავლებელნი გამოგვეცალნენ ხელიდან, მხოლოდ არა ნაკლებ სამწუხაროა სპილიოტისთანა „ისტორიკოსებისთვის", რადგან ყირაზე აყენებს მათს ღვარძლიან დებულებას „პირვანდელ წყვდიადის" შესახებ. ამ დიდმნიშვნელოვან პასუხის გასაბათილებლად სპილიოტი სცდილობს, შორეულ წარსულ ხანაში გადაიტანოს იგი „ტროიას არსებობისას", თუმცა მან იცის, რომ მეფე ერეკლე ისე შორს არა სდგას აღებულ ეპოქიდან. და... მამაა, ღვიძლი მამა კათოლიკოზ ანტონისა. ნუ თუ მეფე ერეკლეს ხანა არ გახლავთ ის უღელტეხილი, როდესაც „გადასწყდა ბედი ქართლისა" და ჩრდილოელთა სუვერენიტეტობის ქვეშ შეაჯარა თავი: ან და რა საკადრისია მეცნიერ ადამიანისთვის ვოსტორგოვისთანა აკრობატობის აყოლება და კულგარულ ფრაზის განმეორება: **„правда это было при царѣ Ираклии II, а не при царѣ Горохѣ"**, რას ნიშნავს ასეთი შეურაცხყოფა, ასეთი უსინდისო ქამანდები, ასეთი თავის აგდება?..

ბ-ნი სპილიოტი თავის პილოტობას არ იშლის საუცხოვო სიბეცის სისტემის აშენებულ ჰაეროპლანით და „პირვანდელ წყვდიადის მეუფების" დასახასიათებლად ერთხელ კიდევ ემყარება პაველ დიმიტრიჩ ციციანოვის მოხსენებაზე, რომ ქართველ თავად-აზნაურობის უმეტეს ნაწილმა სამშობლო ენაც კი არ იცის ხეირიანად... ქართულ ეკლესიებში გალობა თხების კიკინს წარმოადგენს... ქართველებს არც ერთი სტამბა არ ჰქონიათ"...და სხვა და სხვა. თუ რამ შეაფერხა სწავლა განათლების საქმე ჩვენში, რა იყო მიზეზი, ამას, სპილიოტის აზრით, status praesens-ისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს (ეს, ვგონებ, რომ პილოტთა ახალი მეთოდი უნდა იყოს და არა ისტორიკოსების!) მაგრამ დავთანხმდეთ და ნუ მივიღებთ მხედველობაში იმ ანორმალურს მდგომარეობას, რომელშიაც საქართველო ჩაყენა გარეშემოსეულმა მიზეზებმა. პირველი რწმუნება, რომ ჩვენმა თავად-აზიაურთა უმეტეს ნაწილმა ქართულად არა თუ წერა-კითხვა, ლაპარაკიც კი არ იცოდაო, ეს სიცრუეა, რადგან თვით პაველ დიმიტრის ძეს ღრმა ცოდნა ქართული ენისა პრობლემად არის დარჩენილი, მეორეც, თუნდაც მართალი იყოს, ეს კიდევ არა ნიშნავს, რომ „წყვდიადის სრული მეუფება" ყოფილიყო! იმ დროს ჩვენზე არა თუ ჩვენი მოკავშირე რუსები, არამედ დიდ განათლებულ სახელმწიფოთა წარმომადგენელნიც კი კოჭლობდნენ. ენის კარგა ცოდნაში. ამით ისტორია არავინ და-

*) იხ. სხვათაშორის ძვირფასი მასალები ამ საკითხის შესახებ ალ. ფრონელის ისტორიულ საუცხოვო კვლევაში „მთიულეთი".

უმარხია, როგორც არა მარხავენ თვით პეტრე დიდს, განმანათლებელს, რომელმაც რუსული გრამატიკის უცოდინარობით ანეკდოტების გავრცელებას შეუწყო ხელი მთელს რუსეთში. რაც შეეხება ჩვენს საეკლესიო გალობას, ეხლაც იმავე მდგომარეობაშია ჯერ ჩვენ არც ბორტნიანსკები გვყვანან, არც ჩაიკოვსკები, რომ გაემშვენიერებინათ. ვგონებ ჩვენი სადა გალობა უფრო სასოებაზე მოიყვანს თვით ურწმუნოსაც კი, ვიდრე იტალიანური ჰარმონიით შეზავებული სლავიანური გალობა! უკანასკნელი ფაქტი, რომ ჩვენ სტამბა არა გვქონია, ეს ისევ მეცნიერული სიბრმავეა: ქართველ ერს ორი თუ სამი სტამბა ჰქონდა უკვე მე-17 საუკუნიდან! აღა-მამად ხანის ბარბაროსმა ხელმა შეჰმუსრა იგი და აი, ამ ნანგრევებზე შეჩერებული ვიყავით, როდესაც ერეკლემ თვალი მიაპყრო ჩრდილოეთის არწივის მფარველობის ქვეშ შეხიზნებას! ნუთუ ეს ფაქტი საგულისხმო არ უნდა იყოს? ნუთუ ეს ნიშანია ,,პირვანდელ წყვდიადის მეუფებისა?'' მაშ როგორ ავხსნათ სპილიოტის გამოსვლა, თუ არა მეცნიერული სიბეცით, ანუ შარლატნობით? რამ გამოიწვია მისი ,,ისტორიკოსობა'' რომ დიოგენის ფარნით დაჰფათურობს ჩვენს წარსულში, ობიექტივობით მოაქვს თავი და საშინელ ტენდენციებით სთხზავს იმას, რაც არ ყოფილა და რაც ყოფილა, იმას ხელს აფარებს ეგ რომ მართლა პატიოსანი მკვლევარი ყოფილიყო, დაინახავდა, რომ ჩვენი ,,ჩამორჩენა'', თუ კი ვისმე ჩამოვრჩით *), აიხსნება ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობით. აი, ამ მხრით რომ შეეხედნა, დაინახავდა თავის კოლეგას (რედაქციის მხრით) ბ-ნ ხ. სამუელის შეხედულობის სინამდვილეს, რომელიც კავკასიის მასსიურ გაუნათლებლობას ამ პოლიტიკურ მდგომარეობით ჰხსნის, იმავე ,,кавказская школа''-ს ფურცლებზე, სადაც თვითონ იღებს მონაწილეობას. მაგრამ აი მისი სიტყვებით: ,,სამწუხაროდ, ადგილობრივ მმართველებს ყოველთვის არ ესმოდათ თავიანთი კულტურული მისსია. უკანასკნელ დრომდე, თვით გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მთავარ მართებლობამდე შკოლებს და ხალხოსნურ განათლებას უყურებდნენ არა როგორც გონებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისის ასამაღლებელს, არამედ პოლიციური თვალსაზრისით, სადაც სასწავლებლები გასარუსებელ იარაღად გამოიყენეს'' და სხვა (იხ. Кавказская школа № 1, 8 стр. за 1913 г.).

მაგრამ ვიდრე წერტილს დავსვამდე, ერთს ფაქტსაც გაგახსენებთ: იმავე სტატიაში ბ-ნი სპილიოტი კადნიერდება და წმ. ნინოს ლეგენდარულ პიროვნებადა სთვლის. ნეტავი ვიცოდე, რომელი იურიდიული უფლებით? იცის, რომ ,,თეიზმს არ აქადაგებინებენ სასწავლებელში, თუნდა მეცნიერულად ამტკიცებდეს? თუ რომ ,,ჟურნალი სკოლის საკითხებს არკვევს მაშინ რა ადგილი აქვს ამგვარ ფრაზებს?

როგორც ვხედავთ, ქართველებს ბედი არ გვიღიმის. ირგვლივ უარის ყოფა და შეგინება. თვითონ ჩვენვე ნიადაგი მოვამზადეთ, რომ ასე ქამასოკოსავით გვიჩნდებიან სპილიოტისთანა ,,ისტორიკოსები". არავინ უწყის, რომელ ,,კულტურულ მისიით აღჭურვილან ეს ,,მოციქულნი'' ესღაა რომ მათს მოქმედებას აძევს იანუსის ელფერი, რომელსაც არ იცის რა უწოდოს ადამიანმა: მეცნიერული სიბეცე თუ შარლატნობა?

ქართლელი.

*) ქართველებს არაფერი დაეყვედრებათ. რამდენადაც შესაძლებელი იყო მიეღოთ უმაღლესი სწავლა განათლება კიდეც მიიღეს და სამაგიეროს უხდიან ისეთი სასიქადულო პროფესორებით, როგორიც არიან თარხნიშვილი, პეტრიაშვილი, ცაგარელი, მელიქიშვილი, ხახანაშვ ლი და სხ.

უკანასკნელი ამბები

მეფის მოადგილის ავადმყოფობა

უკანასკნელ დროს მეფის მოადგილე ავად იყო, მაგრამ ეხლა უკეთ არის. გამოწვეული იყო ლეიბ-ექიმი პეტერბურგიდან. როგორც ამბობენ, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვი მიბრძანდება ბათომში.

კახეთის რკინის გზა

როგორც გავიგეთ, ქართველ თავ.-აზნ. დეპუტაციას მიუღწევია საწადელისათვის და კახეთის და სიღნაღ-ბაქოს გზის განცალკევება მოუხერხებიათ.

დეპუტატთა საკრებულომ გადასწყვიტა იმ თანხიდან, რომელიც ყოველ-წლივ გადიდება ხოლმე

ხელოვნების და მეცნიერების სარბიელზე გამოჩენილ ახალგაზრდათა დასახმარებლად—წრეულს გადიდო 2,450 მან.—მიეცეს 800 მან. შანშიაშვილს. დანარჩენი 1550 მან. შესახებ სიტყვა-კაზმულ მწერლობის სასაზოგადოებას დაევალა პროექტის შემუშავება, თუ ვის მიეცეს. ამ რიგად მთელი თანხა ეძლევა პოეტებს. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, მაგრამ პოეტებისაგან კბილები გვაქვს დაჭრილი და ეხლა ქველმოქმედებითაც უნდა ხელი შეუწყოთ მათს გამრავლებას. ამ საკითხზე ცალკე წერილი გვექნება.

საადგილ-მამულო კომისია შეუდგა ახალ პროექტის შემუშავებას, რომლის მიზანი იქნება სასოფლო-სამეურნეო და ექსტრაორდინალურ თანხათა სესხად გაცემის მოწესრიგება.

საადგილ-მამულო კომისიას პრინციპიალურად გადაუწყვეტია—მიეცეს საგარეჯოს საზოგადოებას 20000 მანეთი, სასმელი და სარწყავი წყალსადენის გამოსაყვანად. ამ წყალსადენიდან მილი იქნება გაყვანილი აგრეთვე კახ. რკ. გზაზედ, რომელსაც მთელ სივრცეზედ არა ჰქონია ადვილად და იაფად შესაძენი წყალი.

მამულების გაყიდვა

უკანასკნელ დროს რუსის სხვა და სხვა კომპანიები ენერგიულად ჰყიდულობენ მამულებს თბილისის ქართულ სათავად-აზნაურო ბანკისაგან. სხვათა შორის კიდეც შეუსყიდნიათ:

ქართლში – სურამის ახლო აგარაკ ცედანში აბაზაძეებისსეული 2 მამული, სივრცით 1155 **დესეტინა**.

ჯრიაში,—ერისთავებისეული მამული, სივრცით **1580**.

თიანეთის მაზრაში, სოფ. მატანის ახლო შეისყიდეს **1003 დესეტინა ტყე**.

ქართ. სასოფ.-სამეურ. საზოგადოება ამ ჟამად შეუდგა მთელი თავის მოქმედების ანგარიშის შედგენას საზოგადო კრებისათვის წარსადგენათ, რომელიც დანიშნულია 25 მარტს.

არამიანცის თავგასულობა

ერთ დროს დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ დავამ. რომელიც გამოუცხადეს ვერის გლეხებს იქაურმა ვითომ მემამულეებმა, ცაბაძემ და მეღვინოვმა. როგორც ვიცით, სამედიატორო სამართლიდან დაწყებული, შემდეგ ყველა ინსტანციებმა ეს ადგილი აკუთვნეს ვერელ გლეხებს და მათთვის განმზადებული აყრა-აოხრება შეაჩერეს.

თუ არა ვცდები, ქალაქიც ედავებოდა ამ მიწებს, მაგრამ წააგო საქმე. ეხლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ცაბაძეს და მეღვინოვს ეოუხერხებიათ (?) ამ მამულის გაყიდვა არამიანცზე, რომელიც შესდგომია ვერელი მკვიდრების აყრას. ვერელებს თხოვნით მიუმართავთ მეფის მოადგილესათვის.

სახელმწიფო სათათბიროში

27 თებერვლის სხდომაზე სახელმწიფო სათათბიროში, სხვათა შორის განხილული იყო კანონ-პროექტი კავკასიურ პოლიციის რეფორმისა. ჯაფროვმა დაასაბუთა საჭიროება გაძლიერებულ პოლიციის გადაგდებისა და მისი რეფორმისა თვით რევიზორ სენატორის სიტყვით და იმ უსამართლობის მაგალითებით, რომელიც ხდება კავკასიაში.

„ს. დ. ჩხეიძე, თავის მხრივ, ამბობს „რუს. ვედომოსტი“, – ლაპარაკობს კანონ-პროექტის წინააღმდეგ: გრ. ვორონცოვ-დაშკოვი (ამბობს ჩხეიძე) ითვლება უულიბერალეს ადმინისტრატორად რუსეთში. ამას დაეთანხმებიან მემარჯვენენიც („юмористъ“ ჰყვირიან მემარჯვენენი). როცა კავკასიაში მოვიდა, ქვეყანას აცნობა, რომ მისი დანიშნულებაა „აზიაროს“ ეს განპირა ადგილი რუსულს კულტურას და ბევრს რასმე დაჰპირდა. მაგრამ დაპირებანი დაპირებად დარჩა. საქმით კი მარტო წამოყენებული კანონ-პროექტი გვაქვს მხოლოდ, და მთელი ლიბერალიზმი გრ. ვარანცოვ-დაშკოვისა იმაში გამოიხატა რომ თბილისს დაადო საპოლიციო ხარჯი 200,000 მან.“ ჩხეიძე ფრაქციის სახელით ითხოვს, სრულებით უარჰყონ ეს კანონ-პროექტი. ამის და მიუხედავად დუმის უმეტესობა მუხლობრივ განიხილავს პროექტს და იღებს მას ოქტომბრისტ ბენიგსენის შესწორებით. რომლითაც მაგ. ქალაქ თბილისს გადახდება საპოლიციოთ წელიწადში 216, 620 მ. მაგიერ—მხოლოდ 108,310 მან.

ეს მოვიყვანეთ იმის სანიმუშოდ თუ როგორ იცავენ ს. დ. დეპუტატები „ადგილობრივ ინტერესებს“. ჩვენ გვახსოვს, არჩევნების დროს ჩხეიძე ამბობდა: ადგილობრივ ინტერესებს ჩვენ ყოველთვის ვიცავთო. ფაქტიურად კი ვინმე ბენიგსენის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ თბილისს 100,000 მ. მეტი ხარჯი შემოაკლდა და კიდევ ჯაფაროვისა, რომელიც ამტკიცებდა ჩვენი პოლიციის ფაქტიურ უვარგისობას. ჩხეიძე კი, როგორც ყოველთვის, ყველაფერს უარჰყოფს; ეხლა გრ. ვარანცოვის ლიბერალიზმზე ლაპარაკობს, პოლიციის მაგიერ და რეალური გაუმჯობესება კი არაფერი მოსდევს მის „ტკბილ სიტყვებს.“

ირაკლი ჯაბადარი



უკანასკნელი დროის სურათი

ირაკლი ჯაბადარის შესახებ, რომლის სურათებს ვბეჭდავთ დღევანდელ ნომერში, მოგვვიდა ჯერჯერობით ერთი რეცენზია, გაზეთ Fremden Bratt-ში მოთავსებული:

შემთხვევა მოგვეცა ფრიად ნიჭიერი პიანისტის ბ-ნ ირაკლი ჯაბადარის გაცნობისა, რომელმაც დასდგა კონცერტი დიდ Musikvereinsal-ში ორკესტრით. ლოტბარობდა ორკესტრის ნეიბალსი.

გრიგის a-moll და შოპენის e-moll კონცერ-

ტების შესრულება ყურადღებას იქცევდა საოცარის ტეხნიკით, მშვენიერის გარდმოცემით და ხმათა სილამაზით, რომელნიც ნამეტანი სინაზით გადადიოდნენ პიანოში.

საკუთარ თხზულებათა რაფსოდიამ, რომელშიაც ფრიად სხარტულად გადმოცემულია ქართული ეროვნული მელოდიები, დაგვაინტერესა მოტივების თავისებურობით და გონიერი თავდაჭერილობით საორკესტრო ეფექტების შექმნაში. ეჭვი არ არის, რომ ახალგაზრდა პიანისტი მოიხვეჭს სახელს.

სამწუხაროდ ამ ამბავთან ერთად, ირაკლი ჯაბადარის ავადმყოფის ამბავიც მოგვივიდა. ამ ცოტა ხანში ჯაბადარი აპირობს ჩამოსვლას თბილისში.

ირაკლი ჯაბადარი 1907 წ.

ოთხშაბათს, 6 მარტს, სახალხო სახლში გაიმართა რეჟისორ წუწუნავას ბენეფისი. წარმოდგენილი იყო რამდენიმე სურათი-ნაწყვეტი სხვა და სხვა პიესიდან: „შეშლილები" — ტრ. რამიშვილისა, პ. ირეთელის „სოფლის გმირებიდან" სცენა სადგურზე და „რომელი ერთი", თარგმანი ფრანგულით ქარელისა.

რეჟისორის მთელი ყურადღება, ეტყობა, მიქცეული იყო მიზ-ან-სცენებზედ და „მასსიურ სცენებზედ", რასაც განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ მოსკოვის სამხატვრო თეატრში. ამ მხრივ წუწუნავას ბენეფისი თითქმის უნაკლო იყო, მაგრამ შინაარსით მეტად უფერული. ხალხი ბლომად დაესწრო და დიდის სიხარულით და აღტაცებით მიეგება ბენეფიციანტს. მიერთვა საჩუქრებიც.

საბერძნეთის მეფის მოკვლა

საბერძნეთის მეფე გეორგ I, როგორც გაზეთები იუწყებიან, მოუკლავს სალონიკში ისევ ბერძენს—ალექსანდრე სხინასს. გეორგ I იყო ძმა **იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისა** და ცოლად ჰყავდა რომანოვების საგვარეულოს ქალი ოლღა კონსტანტინეს ასული, შვილი-შვილი ნიკოლოზ I-სა ალ. სხინასი, ამბობენ, სულით ავადმყოფია, თუმცა თვითონ განუცხადებია—სოციალისტი ვარო.

მიმქრალი სულის აღსარება

* * *

...მერე რა მოხდა? როგორ დავხვდი შემდეგში სწავლას? ჰო, მახსოვს, მახსოვს... სამი თვის უკან ფაკულტეტი გამოვიცვალე: არ მაკმაყოფილებდა მშრალი ფილოსოფია, ლიტერატურა: ეს ხომ დასვენების დროს უნდა იკითხოს ადამიანმა: წამოწვეს არხეინად ტახტზე და იფილოსოფოს, ესე-იგი, წყალი ნაყოს. გეფიცებით, რომ არასფერს დაჰკარგავს თუ ამდროს იგი ჭერში იყურება და ბუზებსა სთვლის ნეტარ ხსენებულ ლუარსაბ თათქირიძისავით. რაო გიკვირთ? რატომ? მაგრამ მესმის! თქვენ ხომ კარგად არ იცით, თუ რა არის ფილოსოფია! ამის გაგონებაზე გაგახსენდებათ ელლადა, პლატონი, არისტოტელი... აბა რა საჭიროა ასე შორს გაქცევა. მერწმუნეთ, რომ ფილოსოფია მხოლოდ უხეში ტვინის ფირფიტის ტრიალია და მეტი არაფერი.

სულ სხვაა მათემათეკა. ამაზე შენდება მთელი მსოფლიოს ბედ-იღბალი. კოსმოსი რითმით მოხლართული ჰარმონიაა, რომელიც მათემათიკას შეუქმნია. ჰო და რა, მოკვდება თქვენი არისტოტელი, მოკვდება კანტი, ჰეგელი, თან გაჰყვებიან შექსპირი, გიოტე, დანტე, რუსთაველი, დარჩება ევკლიდი, არხიმელი, მორზე, ედისონი... მათემათეკა ინაცვალებს თქვენს დიდ ზოლასაც... ხა-ხა-ხა! ვინ არის ზოლა? ან ვინ არის ოკტავ მირბო, ანატოლ ფრანსი, ტოლსტოი? რა ანგარიშში ჩასაგდებია ჭავჭავაძე, აკაკი, ანუ გველის ჭამიას ავტორი ჩვენს ფრიალოთა არწივი ვაჟა-ფშაველა? დამეთანხმეთ, რომ ყველა ესენი მხოლოდ ჩვენ მიერ ამოჭრილი ოქროს სახელებია, რომელთაც დღეს არა, ხვალ მაინც დროის სასტიკი ქარი გასცვეთს და მათს წაშლილს ალაგას ახლა სხვის სახელს წააწერეს. მაშ ასე, გაუმარჯოს მათემათიკას. და...

მეც ფიზიკო-მათემათიკი ვხდები!..

* * *

...რა სისულელეა, ღმერთო ჩემო, რა სისულელე! დღეს მივხვდი ამას! ან როგორ ვერ წარმოვიდგინე, თუ რა სისულელეს ჩავდიოდი! განა შეუძლიან მეჩექმეს, რომ მეთონეობა დაიწყოს? ან საიდან მომივიდა აზრად მათემათიკოსობა, როდესაც არც პაპას, არც მამას მისი ნიჭი არა ჰქონია! საზოგადოთ ხომ ქართველობის ხელობა იგი არასოდეს არა ყოფილა, მით უმეტეს ჩემთვის, რომლისათვისაც ჯერ კიდევ გიმნაზიის სკამზე თავს ვიმტვრევდი, სხვას ვაკეთებინებდი ამოცანებს და გაზეპირებული ფორმულებით ისე დავწერდი კედლის დაფაზე, რომ თვითონაც არ მესმოდა, თუ რას ვხაზავდი. მაგრამ ამ შეცდომის გასწორება ხომ სულ ადვილად შეიძლება. ბევრი-ბევრი ნახევარი წელიწადი მაქვს დაკარგული, ამას საზაფხულოდ ავინაზღაურებ და არც ერთს სემესტრს არ დავკარგავ. მე ვიქნები შესანიშნავი ბუნების მეტყველი! მაგრამ არ იფიქროთ, რომ ამ ერთს ნაწილს შევალიო ჩემი ძალ-ღონე, არა! ერთსა და იმავე დროს მსურს ხუთს ფრონტზე ვიბრძოლო: ვიყო სოციოლოგი, დოქტორი პოლიტიკური ეკონომიისა, ჰო, იურისტი, ექიმი და .. შესაძლებელია, ინჟინერიც!

ხა-ხა-ხა! მეც კი მეცინება ამის გახსენებაზე! უყურეთ, რა კორიანტელი აუყენო ბატისტვინა უკანტროლო პუბლიცისტებს, რომელთაც ჩვენი ცხოვრების სადავეები რაღაცაა მანქანებით ხელთ ჩაუგდიათ! ჩამსხდარან სარედაქციო კაბინეთებში და თხის თავებზე ლოკულობენ. დამაცადონ, დამაცადონ, მე ვუჩვენებ ყველას სეირსა?..

* * *

...შემდეგ?

ახ, ტვინი... რა რიგად მიშლის მოგონებას ეს სატიალო ნერვების სისუსტე...უცბად ისე ამომხეთქავს ხოლმე თავში,თითქოს ვიღაცას კეტი დაერტყას ჩემთვის და გავებრუებინე...

ჰო, მემდეგ?

შემდეგ არ მახსოვს, ვგონებ მართლა ყველა ფაკულტეტები შემოვისეირნე, მაგრამ ვერც ერთს ვერ დავუდე გული. რატომ? ნუთუ ნიჭი არ მქონდა? ნუთუ სწავლის წყურვილი გამიქრა? მერე ჩემი ბეჯითობის უნარი, უნარი, რომელიც ყველა მნახველში ერთს გაოცებას იწვევდა, სადღაა მეთქი, სად დაიკარგა?

აბა რა ვიცი, ეს ჩემთვისაც უცნაურია. მხოლოდ ეს კია, რომ მე ვერსად ვერაფერს გავხდი. ვინ იცის, იქნებ სასოწარკვეთილებამდინაც მივსულიყავი, რომ ერთს გარემოებას არ გადავერჩინე. თურმე ნუ ბრძანებთ, ენის უცოდინარობა ყოფილა ყველაფრის მიზეზი. მე კი ჩემს უნიჭობას ვაწერდი.

აჰ, რაზე მივხვდი ასე გვიან? რა დამემართა!..

* * *

...ამ შეგნებამდე პირველად დორამ მიმიყვანა.

დორა ებრაელი ქალია, საექიმო ნაწილზეა იმავე სორბონაში, სადაც მე ვსწყალობ. დიდი ხანია, რაც გავეცანით ერთი-ერთმანეთს. ჯერ კიდევ იურიდიულ ფაკულტეტზე ვიყავ, როცა თვალი შემასწრო.

თქვენ უცხოელი ბრძანდებით?

— დიახ, m-selle!

— უეჭველია, რუსი...

— ჰო... არა... ესე-იგი ქართველი გახლავართ.

გაეხარდა. ხელს მაძლევს.

— ქართველი?

— დიახ.

— ღმერთო ჩემო, რა კარგია! მეც ვიცნობდი რამდენიმე ქართველ სტუდენტს, ყველანი ისეთი კარგები იყვნენ... მე კიდევ პოლონელი გახლავართ...

მე ვწითლდებოდი, პირველი იყო ჩემს სტუდენტობის ხანაში ქალთან ასეთი გამოლაპარაკება. ამიტომ იყო, რომ სრულებით არ ვიცოდი ამ უცნაურ გოგოს ჩემგან რა უნდოდა.

...ამ პირველიგ აცნობის შემდეგ ჩვენ სამი დღის შემდეგ კიდევ შევხვდით ერთმანეთს, ისევ სორბონაში. ის-ის იყო, ლექცია გაეთავებინა პროფესორს და შინ წასასვლელად ემზადებოდა. გამოველით თუ არა, გავყეთ ერთმანეთს და ვერც კი შევნიშნეთ თუ როგორ შეველით ლიუქსემბურგის ბაღში.

საღამომდინ ერთად ვიყავით. შემდეგ ნასიამოვნები დავშორდით. გვინდოდა, იქვე პასკალის ყავახანაში შევსულიყავით, სადაც ჩვეულებრივ სტუდენტობა იყრიდა თავსა, მაგრამ ეს სურვილი მხოლოდ კვირა საღამოს განვახორციელეთ. ამის შემდეგ მეც და იმასაც თითქმის ავადმყოფობად გადაგვექცა სორბონიდან წასვლა... ხან სად და ხან სად, ტემა სალაპარაკოდ არ იყო ერთი, უფრო ნაწვეტებით გაიზომება ყოველი ჩვენი საუბარი. უმეტეს შემთხვევშია კი შეფასებაში ვიყავით, ლუვრის მუზეუმის სიდიადეზე, სადაც არა ერთხელ და ორჯელ შევკამათებულვართ ჯიაკონდოს ჯადოსნურ ღიმილის დანიშნულებაზე და მილოსის ვენერს სიმშვენიერეზე.

არ ვიცი რატომ, მას არ მოსწონდა ეს ხელოვნების გვირგვინი. დაიცინებდა და მარწმუნებდა, რომ თავისთავად ეგ ისეთ არასფერს წარმოადგენს, ოღონდ თუ ისევ დიდ ფასსა ვდებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ათავამზურად გადმოგვეცა, წინდაწინვე დაგვარწმუნეს მის სიდიადეში და წინააღმდეგზე ფიქრიც კი შეუძლებლად მიგვაჩნიაო. ვერც ჩემი პასუხი იყო სახარბიელო. წარმოიდგინეთ, დორასთან ვიდრე მივიდოდი, სალაპარაკო თემა მომიხაზნია მშვენივრად, რომ უსათუოდ მისი ყურადღება დამემასუხებინა, მაგრამ იმასთან მისვლისას მიფრინდებოდა, სიტყვებს კიდევ აბდა-უბდად მადგებოდა ენაზე, რის გამოც ხშირად მისი დაცინვის საგანიც გავმხდარვარ, თუმცა ეს დაცინვა მეგობრულად მიმიღია და რატომღაც ერთგვარ ქათინაურებადა ჩამითვლია.

საზოგადოთ დორამ დიდი სიმპატია მოიხვეჭა ჩუმში მისს კეთილს გულს უნდა დაუმატოთ მისი საშინელი აქცენტით დაპარაკი, რომელსაც უფრო მეტი ყურადღება მივაქციე, ვიდრე მის სილამაზეს. ის ჩემზე ზრუნავს. დამარწმუნა, რომ ნაპოლეონის კოდექსის სწავლა ჩვენ, უცხოელთ, არაფრად გამოგვადგებაო. ჰო და რა, რა თავში სახლელად მინდა ნაპოლეონის კოდექსი, როდესაც ვახტანგ რჯულ-მდებელის კანონები ერთხელაც არ გადამითვალიერებია. გადაგვარებაც ასეთი უნდა! რომის უფლება ლათინურად და ნაპოლეონის კოლექსი... ეს რაღაც წარმოუდგენელია. დორა მართალია, ისევ ექიმობა სჯობს... და მეც მის გვერდით ამოვყავ თავი.

...დორს უხაროდა, რომ ეხლა თითქმის სულ ერთად შეგვძლებოდა ყოფნა. საანატომიო განყოფილებაში ცდის დროს ერთმანეთს ვეხუმრებოდით, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე, რის გამოც ფრანგ ამხანაგობის ყურადღება არა ერთხელ და ორჯელ მიგვიქცევია. მაგრამ რას ნიშნავს მათი შენიშვნები, როდესაც დორა უმანკოა, ცით-მოვლენილი ანგელოზი, რომელსაც ბიწიერების ჭუჭყი არასოდეს არ მიეკარება.

ღმერთო, ასეთი ხალხით რომ აგევსო ქვეყნიერება, ნუ თუ კიდევ ბოროტებას სადმე ადგილი ექნებოდა?

* * *

...დორა მაკვირვებს თავის გონების სიმკვირცხლით. იმ დღეს რეფერატს კითხულობდა. მთელი რუსის კოლონია დაესწრო, რა თქმა უნდა, ჩვენი თანამემამულეენიც იყვნენ. ამათი რიცხვი ერთობ მცირე იყო, თუმცა არც ერთთან დამოკიდებულება არა მქონია; მეშინოდა, ვაი თუ სამეცნიერო მუშაობაში ხელი შემიშალონ და მომაცდინონ მეთქი. იმათ კი იცოდნენ ვინც ვიყავი, მაგრამ რაკი შემატყეს, რომ მათ შორის მე უცოდველ პაპის ადგილი მეჭირა, ჩამომშორდნენ, ასე რომ „ლათინთა უბანში“ ჩემი არსებობა თითქმის აღარც კი იცოდენ. გაუკვირდათ. ცივად შორიდან მომესალმნენ, მაგრამ ახლოს არც ერთი მათგანი არ მოსულა. მეც წინა რიგში მოვექეცი და დორას მივაშტერდი.

ასე მეგონა, მის ბაგიდან სიტყვების ნაცვლად მარგალიტები სცვივა მეთქი. პირველად მხოლოდ ეხლა მივაქციე ყურადღება იმის სილამაზეს: მადონა... ჯიოკონდა!..

არა, რა სულელი ვიყავ, რომ თვალს ვარიდებდი ამ მშვენიერს ქმნილებას?

* * *

...რეფერატის შემდგომ დორას მივულოცე. სახლამდინ გაცილება მთხოვა. მეც სიამოვნებით დავთანმხდი. გზად მორცხვი ბავშვივით სიყვარული გამოვუცხადე. თავს მოვიკლავ მეთქი. დორამ კი ისტერიულად გადიხარხარა.

ნეტა რა აკინებდა? ნუ თუ სიყვარული ასეთი სასაცილო რამ არის?

* * *

...მოახლოვდა ზაფხული. ყველა აგარაკად იხიზნება. დორას რჩევით მასთან ერთად მივალ ვილმობლში. ეს პატარა ქალაქი მართლაც მყუდრო გამოდგა. ვისაც უნარი აქვს შრომისა, უეჭველად ბევრს რამეს გააკეთებს. პანსიონის დაჭერაში დორაც დამეხმარა: პრაქტიკა მეტი გექნება, ფრანგულს გაივარჯიშებ და ორს დაკარგულს წელს აინაზღაურებო. მეც მიხარიან, მიხარიან იმიტომ, რომ მჯერა დორას კეთილი რჩევა კარგს ნაყოფს გამოიღებს. ესეც არ იყოს, ისიც ჩემს ახლოს დადგა, ასე რომ თუ პანსიონში მომეწყინა, ხელად შემიძლიან ჩავირბინო და მასთან ერთად წავიდე სასეირნოდ. განსაკუთრებით მარანას ნაპირებისკენ.

* * *

...ღმერთო ჩემო, რა კარგია ეს ლაჟვარდი მდინარე! ორიოდ ფრანკი მიეც მენავეს, ჩაჯექი შიგ და შენთვის წყნარად ისრიალე მის მშვიდს, აუღელვებელს ტალღებზე, თანაც იმღერე, იხუმრე შენს მეგობართან, მერე ისეთს მეგობართან, როგორიც დორა გამოდგა. მიუშვი ნავი თვის ნებაზე, ნიჩბის მოსმა არც კი უნდა. თუ არა და დორას დაავალე მენავეობა. ის თავის გამოქანდაკებულ შიშველი ხელით მოსწევს ნიჩაბს. გრაციოზული რხევით ტალღას შემოჭკრავს ნაზად სილას და თან გადიკისკისებს. და ამ ყოფაში წახვალ შორს, შორს, ვიდრე ლელით დაფარულ ნაპირებში თავს არ ამოჭყოფ. აქ კი დორას უნდა მიეხმარო, რომ ნავი შემოატრიალო. ნავის გადმოქამება ინერციის ძალის შეჯახებით დორას გვერდითკენ გადმოაქანებს, ჩემს მუხლს ფერდით მოეჯახება, გადიკისკისებს -მეც აგრეთვე. შემდეგ კვლავ წელში გასწორდება და ისევ სიმღერა, ან ტიტინი ათას სისულელეზე.

მაგრამ არის წუთი, როდესაც დორა უცნაურად იცვლება, რატომღაც სევდით იღრუბლება. ამ დროს იგი ქანდაკებასავით გაშეშებულია, იდაყვ-დაყრდობით იგადაჰყურებს ნავიდან მდინარის ტალღებს და რაღაცას მისჩერებია, ერთი შეხედვით გეგონებათ, რომ თავის შიშველი გულ-მკერდის ანარეკლის მზერითა სტკბება. მაგრამ არა, დორა ფილოსოფოსობს!..

— რა ამბავია, დორა? — ვეკითხები, როცა ერთხელ ამოოხრა: შენ მოწყენითა ხარ.

— მართალია.

— ასე უცბად.

ის მხრებს იწევს. შემდეგ მეც ვიღრუბლები. მაგრამ დორა კაეშანის ღრუბლებს მიფანტავს:

— მე ვუყურებდი ტალღებს და ჩემს სიცოცხლის მიმდინარეობას ვადარებდი მის სრბოლას ჩვენი ცხოვრების წუთებიც ასეთ რიგად მირბიან წინ-წინ და არც ერთს მათგანს აღარ ეღირსებათ დაბრუნება.

მე გამეცინა, იმასაც...

კიდევ რაღაც უშინაარსო ნაწყვეტებით განვაგრძეთ საუბარი, მაგრამ არ იქნა, ველარ დავიბრუნეთ წუთიერი თავდავიწყება. ჩვენს ნაძალადევს კისკისს ერთი მელანქოლიური სიმღერა მოჰყვა დორას მხრით, რომელიც ზედ შუაზე შესწყვიტა.

მეცნაურა.

— დორა..!

— წავიდეთ, — მეუბნება, — მცივა...

მენავეს სწრაფად გავუსწორდი. მინდოდა ეტლი დამეჭირა, მაგრამ დორამ არ ჰქნა.

— ავად ხარ, დორა, შენ სიარული არ შეგიძლიან...

— როგორ არა... შემიძლიან... შემიძლიან...

ვილმობლი ჩვეულებრივ მხიარულობდა. ქუჩები ელექტრონის ზვირთებს ჩაენთქა. ნაცნობ ყავახანიდან უკვე ჩახრინწიანებული ხმით გამოისმოდა ბარიტონით ტორეადორის პარტია. მინდოდა, დორა შემეპატიჟნა, მაგრამ არ ისურვა. შემდეგ ბინამდე ისე მივიყვანე, რომ ერთმანეთს აღარ გამოვლაპარაკებივართ.

— გამარჯვებით...

ხელი არც კი ჩამომართვა. გაალო კარები და პირდაპირ სახლში აირბინა. მარტოდ დავრჩი. კარგა ხანს დაფიქრებული ვიდექ და სრულებით ვერ გამეგო, დორა რად დადგა ასეთ უცნაურს გუნებაზე!

შინ დაბრუნებისას მარტო ტუჟურკა და ფეხსაცმელები გავიხადე და ისე წამოვწექი, რომ ოთახი არც კი გამანათებია...

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება).

ბალკანეთის ომი და საერთაშორისო განწყობილება

როგორც მოსალოდნელი იყო, ბალკანეთის ომმა „მახლობელ აღმოსავლეთის" საკითხი უფრო გაამწვავა და ევროპის იარას ბასრი შაშარი შეუყარა.

მთელი ევროპა აყაყანდა თავიდანვე და მრავალი სხვა და სხვა ინტერესების შეხლა-შეჯახების შემდეგ, უფრო ნათლად გამოირკვა, რომ ევროპიელ სახელმწიფოთა ეგრედ წოდებული „კონცერტი", მჩხავანა კატების კონცერტსა ჰგავს, რომელთაც ერთმანეთისათვის და სხვისთვის მხოლოდ რიასამე წაგლეჯაზედ უჭირავთ თვალი.

ეხლა, მართალია, სისხლი ისევ ბალკანეთზე იღვრება; პატარა, აფხორებული „მოკავშირე" სახელმწიფონი სჯიჯგნიან საბრალო, დაუძლურებულ ოსმალეთს, მაგრამ ყურადღება მთელი კაცობრიობისა გადატანილია მთელს ევროპაზედ. ბალკანეთის ომი ერთგვარი პულსაცია არის, გულის აჩქარებული ცემა, რომელიც მთელი ევროპის ორგანიზმში, ყოველ მის სახსარში საომარ სიცხეს და აგზნებულ ჟინს აღვიძებს. თუ დასაწყისში მოსალოდნელი იყო, რომ პაწაწინა ჩერნოგორიის ზარბაზანს, ზვავივით უპასუხებს გამოხმაურება ავსტრიის ზარბაზნებისა რუსეთის საზღვარზედ, ეხლა არა ნაკლებ მოსალოდნელია ჭექა-ქუხილი საფრანგეთ-გერმანიის საზღვრებზედაც.

ომი ბალკანეთზე საბედისწეროდ გრძელდება. დღიდან დაწყებისა ადრიანოპოლს და სკუტარის „ორი დღის" შემდეგ იღებენ და კი ვერ აიღეს, მართალია, ბერძნებმა იანინა დაიპყრეს, მაგრამ ჩატალჯის სიმაგრენი შეურყეველადა სდგანან.

ორივ მებრძოლი მხარე დაიღალა, არაქათი გამოელია, მაგრამ ევროპა კი არ არიგებს მათ, როგორც ჭკუა დამჯდარი არბიტრი-შუამავალი, არამედ ალანძული სახით თვითონაც თრთის, რომ მოჭიდავეთა ავლა-დიდება ხელში ჩაიგდოს.

გერმანიამ უეცრივ გადასჭრა ჯარისკაცთა გამრავლება და სამხედრო-საომარ კრედიტის გაძლიერება. ასეთი დიდი ხარჯის გამომწვევი ნაბიჯი, ყოვლად შეუძლებელია, გერმანიას რაიმე „ცუდი განზრახვით" არ გადაედგას. გერმანია, ავსტრია არ არის, რომ მარტო დ ა ს ა მ უ ქ რ ე ბ ლ ა დ გაეწია ასეთი უზომო ხარჯი.

იქნებ ეხლა, როცა ავსტრიის ეკონომიური კრიზისი გამოაშკარავდა მობილიზაციის დროს და აუტანელმა ხარჯებმა თითქმის სამარცხვინოდ უკან დაახევინეს, გერმანიისათვის უფრო ცხადი შეიქმნა, რომ საერთაშორისო ბრძოლაში იგი მხოლოდ თავის თავს უნდა ენდობოდეს. იტალიას, ამ მესამე რგოლს სამთა კავშირის ძეწკვისას, ხომ ყოველთვის სახიფათო „ბზარი" ეტყობოდა. ჯერ ომის პირველ ხანებშიაც, როცა ავსტრია ნამეტანის სიმკაცრით ამხედრდა სერბიის წინააღმდეგ, იტალია დიდს ყოყმანში იყო და ურჩობას აცხადებდა. ყველა ეს და ბევრი სხვა მოსაზრება, გერმანიის მთავრობას პირს შიგნითკენ აბრუნებინებს და თავის საკუთარ ძალებს აკრებინებს.

მაგრამ ასეთი დარღვევა ევროპის „წონა-სწორობისა", რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა სხვა სახელმწიფოებში. საფრანგეთმა მაშინვე გააძლიერა სამხედრო კრედიტი 500.000,000 ფრანკით და შეიტანა კანონ-პროექტი სამხედრო ბეგრის ვადის გაგრძელებისა სამ წლამდის; რითაც რიცხვი

ჯარისკაცთა ერთი მესამედით იმატებს. ინგლისში საომარ ფლოტის ბიუჯეტი იმდენად გაადიდეს, რომ გაზეთების სიტყვით ნავთ-საშენებლები (верфь) ვერ აუვლენ იმოდენა მუშაობას და არც იმდენი მუშა ჰყავს ინგლისსაო. და ეს ი ნ გ ლ ი ს შ ი, სადაც მთელი სამხედრო ძალა—ფლოტშია. ამის გარდა, დაჟინებით ლაპარაკობენ საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღებაზე, რასაც აქამდის ინგლისში ადგილი არა ჰქონდა. კონსერვატორები მოითხოვენ აგრეთვე ჰაერში მფრინავ ფლოტის გაძლიერებას.

რუსეთი თითქო ყველაზედ ნაკლებ ემზადება ომისათვის, თუმცა ყოვლად შეუძლებელია, გარეშე მაყურებელის როლი შეინარჩუნოს, თუ საერთო ბრძოლა გაჩაღდება.

ყველა ამ საერთო ხასიათის მზადებას რომ ის წვრილმანებიც დაუმატოთ, რომ საფრანგეთი ელზას-ლოტარინგიის დაბრუნებაზედ ოცნებობს, რომ ინგლისი ეგვიპტეში ამაგრებს ალექსანდრიის ნავთსაყუდარს, რომ გერმანია სამხედრო ალლუმებსა მართავს აღმოსავლეთ საზღვრებზედ ისეთის გეგმით... ვითომ ციხე-სიმაგრეებს იცავს და სხ.—ჩვენ მივიღებთ იმ საერთო სურათს, რომელიც საერთაშორისო ომისათვის სამზადისსა ჰგავს ძლიერა.

მაგრამ ნუ დავივიწყებთ, თუ რა „ძვირი ჯდება" ნხლანდელი ომი, ნუ დავივიწყებთ, თუ რა საშინელებას უქადის იგი ევროპის ლაშქრებს, რა ხიფათს უმზადებს ყველა სახელმწიფოს და მაშინვე იბადება მოსაზრება, რომ ამ ომს „საფუძველი" არა აქვს. იგი ხელსაყრელი არავისათვის იქნება და მარტო ამას შეუძლიან მიჯაჭვოს თავაწყვეტილი ბელლონა ოქროთი დაბრმავებული ევროპისა, ამის სიმპტომატიური ნიშანი ავსტრიის და რუსეთის დემობილიზაცია არის, რომელთაც მარტო „სამზადისმა" ჩააყლაპინა მილიონები.

ავსტრია, რომელიც ყველაზედ მეტად იწევდა საომრად, დღეს, დარცხვენილი, ლამის შეურიგდეს სკუტარის გადასვლას ჩერნოგორელების ხელში; ხვალ ეგებ გერმანიამ შეიგნოს, რომ აურაცხელი სამხედრო ხარჯი არა ღირს იმ ფასად, რა ფასსაც იგი სდებდა ოსმალეთის სიმრთელეს და სიძლიერეს.

ამ რიგად, ევროპა განმზადებულია საომრად და საომარი ჟინი ევროპიელ მთავრობათა კიდეც თხოულობს წყურვილის მოკვლას, მაგრამ ესეთი „ოპერაცია" და ერთა სისხლის დენა მარტო მათზე არაა დამოკიდებული.

ეს კი ცხადია, რომ ატმოსფერა გაჟღენთილია საომარი ელექტრონით და მისი დაცლა-დაშრეტა მით უფრო ძნელდება, რაც მეტ ხანს გრძელდება ბალკანეთის ომი, რომელსაც შეუძლიან ზედ წაიხვიოს, როგორც გორგალმა, ჯერ რუმინია, მერე ალბანია-ავსტრია, შემდეგ რუსეთი, გერმანია-საფრანგეთი და ბოლოს ინგლისიც.

მეომარი.

წვრილი კრედიტის ამხანაგობა მანგლისში

ისე დღე არ გაივლის, რომ გაზეთებმა არ გვაუწყონ, ამა და ამ სოფელმა, თუ საზოგადოებამ, ესა და ეს კულტურული დაწესებულება დაიარსაო. ყველა ეს ხდება ქართლში. სხვა დაწესებულების გარდა დღევანდლამდე ოცზედ მეტი წვრილი კრედიტის ამხანაგობაა დაარსებული, არის აგრეთვე სასოფლო სამეურნეო ამხანაგობაც. მათ მესვეურებმა შეიგნეს ასეთი დაწესებულების მნიშვნელობა, ხალხი სიამოვნებით უერთდება ერთმანეთს მეურნეობის გასაუმჯობესებლად და ერთი ერთმანეთისათვის წარსამაგებლად. ჩვენი მხარე კი ყველა ამას მოკლებულია. აქ ხალხს ჯერ სულ არავინა ჰყავს გზის მაჩვენებელი და, თუ მოიპოვება თითო ორიოლა და სცდილობს ხალხს რამე შეაგნებინოს, მათ ედობებიან წინ ხალხის მტრები, რომელთაც თვისი „ცოდნა" მ.რტო თვისის კუჭის სასარგებლოდ გადაუქცევიათ და სხვასაც ხელს უშლიან.

ამას წინად ს. ჰრიუტში რამდენიმე ქართველმა განიძრახა მერძეობის ამხანაგობის მოწყობა, ამხანაგობაში მონაწილეობის მიღებაზედ სურვილი განაცხადა სამმა მესაქონლე გლეხმაც. მიმართეს ცნობილ მეურნეს, ბ. ნ.ი. ყავრიშვილს, მონაწილეობა მიეღო ამხანაგობაში და მასთან საქმის წარმოებაც, როგორც სპეციალისტი, მას ეკისრნა. ბ. ყავრიშვილი ამხანაგობის ასეთს განზრახვას სიამოვნებით მიეგება და დროც დაუნიშნა მასთან მანგლისში პირობის დასაწერად და გეგმის შესამუშავებლად, მაგრამ დღევანდლამდე მასთან არავინ მისულა გარდა ორი სამი მეთაურისა; გლეხები თოვის სიახლოვესაც ვედარ მიიკარეს. თურმე საქმე იმაშია, რომ გლეხებისათვის ვიღაცას რაღაცა წაუჩურჩულებია, და ამ რიგად ჯერჯერობით საქმე შეჩერდა. ასევე ხდება წვრილი კრედიტის ამხანაგობის დაარსებაშიაც ჩვენში. რუსებში კი სულ

სხვაა; ესენი ერთმანეთს ნდობით ეკიდებიან და შეერთებულად მოქმედებენ თავისის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ესენი სარგებლობენ ჩვენი ხალხით, ჩვენ კი ჩვენის უნდობლობით ვცვივით უფსკრულის სიბნელეში

დაიარსეს რუსებმა წვრილი კრედიტის ამხანაგობა, აირჩიეს გამგეობის წევრნი, თავმჯდომარედ ერთ ხმად აირჩიეს ბ. ნ. ი. ეავრიშვილი, თუმცა იქ არ იყო, წევრებად მდ. ჩიქაძე და სხვანი, როცა ინსპექტორმა ეავრიშვილი მიიწვია და გამოუცხადა ხალხმა თავმჯდომარედ თქვენ აგირჩიათო, მან უარი განუცხადა: „თუ სამსახურია ისევ ჩემს ხალხს გემსახურებიო, ვინაიდგან ერთსა და იმავე დროს ორგან ვერ ვიქნებიო და სთხოვა ინსპექტორს დახმარება გაეწია ასეთ ამხანაგობის დაარსებაში ს. დიდ თონეთში, თონეთელებისათვის, მჟავისის საზოგადოებისათვის და პატარა თონეთის საზოგადოებისათვის, ინსპექტორმა გაითვალისწინა მანგლისი, როგორც შუაგული გარშემო მცხოვრებ ქართველებისათვის და უპასუხა: „თუ ისურვების ქართველი ხალხი და შემოუერთდება რუსებსა, სიამოვნებით მივიღებთ და, როგორც ძირითად თანხას ისე მოკლე ვადიან სესხს მოვუმატებთო“. ეავრიშვილი მხოლოდ მაშინ დასთანხმდა თანამდებობის აღრულებას. ჯერ ჯერობით მანგლიან სულთ ძირითად თანხად მიეცათ 1500 მ., მოკლე ვადიან სესხად 6000 მ

როგორც გაზეთებიდან ვიცით, ბ. ეავრიშვილმა უკვე დაადგინა რუს ამხანაგობის ოქმი ზემოხსენებულ ქართველ საზოგადოებების მიღებაზედ ამხანაგობაში და წარადგინა სადაც ჯერ არს დასამტკიცებლად. თუმცა დამტკიცება ჯერ არ მოსულა,* მიიხედ ეავრიშვილის ენერგიულმა მოქმედებამ რუსებზედ საჯერ მეტი მსურველი აღმოაჩინა ამ ამხანაგობისათვის.

სემიტი.

ბიბლიოგრაფია

რედაქციამ მიიღო საყმაწყილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მეორე ნომერი. პირველი ნახევარი წიგნისა, რომელიც მცირე წლოვანთათვის არის, შედგენილია ძალიან კარგად. მოთხრობები „მიტო და თამრია“ ნინო გოგნიაშვილისა, „რა ახირებულია“ მანანასი, „ქვა-მოსარჩლე“ იასე რაჭველისა—ერთი მეორეზედ უკეთესია.

მეორე ნახევარში, მოზრდილთათვის, შემდეგია საინტერესო: „ძლივს“, სურათი სოფლის ცხოვრებიდან გ. ქუჩიშვილისა, „ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის იუბილეის გამო“ ე. გაბაშვილისა, „პირველ-ყოფილ ადამიანის ყოფა-ცხოვრება“ იტა ნაკაშიძესი და „მოხუცი მეთევზე“, ნათარგმნი რუსულიდან ნინო ენუქაძის მიერ.

—

რედაქციამ მიიღო რამდენიმე წიგნი, გამოცემული წ. კ. გ. საზოგადოებისაგან და მისი ქუთათური განყოფილებისაგან: „ალი“, მოთხრობა ნიკო ლომაურისა. „თავდადებულნი ქართველნი“, ი. გოგებაშვილისა და „მაგდანას ლურჯა“ ეკ. გაბაშვილისა.

ჩვენი ფოსტა

ჯოჯოლაძეს: ეს სადიდმარხვო ფსევდონომია, თუ ნამდვილი გვარი? მოთხრობა კი მეტად უმარილოა.

აძ—შვილს: „...ისეთი ქარი ავარდა—დედამიწას ანძრევდაო.“ გეოლოგები, პირიქით ამტკიცებენ, —მიწა რომ ინძრევა, ხშირად ქარი ამოვარდება ხოლმეო. ქართველებიც ამბობენ: უჰ, რა ქარი ამოვარდაო... როცა სტყუის ვინმე.

მწყერს: ერთ პატარა ზღაპარში თხუთხმეტი ანდაზა მოგყავთ. კარგი არის მეთექვსმეტეც: არა შეჯდა მწყერი ხესაო.

მ—ის „მაიმუნი იჯდა; და მღეროდა...“(?) ეს უფრო ავტობიოგრაფიასა ჰგავს, თითქო?

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

*) ამ წერილის დაბეჭდვამ დაიგვიანა შემთხვევით.